

---

## GEPLAC-ის საქმიანობა

### საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა

დავით კერესელიძე\*

#### 1. შესავალი

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დაიწყო ქვეყნის სამართლებრივი განვითარების ახალი ეპოქა. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმები, რომლებმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქვეყნის განვითარების დღევანდელი მდგომარეობა, განპირობებული იყო ქართული საზოგადოების სურვილით მომხდარიყო სწრაფი გადასვლა გეგმურიდან საბაზრო ეკონომიკაზე. შედეგად, მრავალი ფუძემდებლური კანონის ნაჩქარევად მიღებამ, საფუძველი ჩაუყარა გარდამავალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დროებითი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას.

ამავე დროს, საგარეო პოლიტიკის ახალი მიზნების განხორციელებამ, მათ შორის, ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში განწევრიანებამ, როგორცაა: ევროპის საბჭო და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო), მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს სამართლებრივი სისტემის განვითარებას. ამ ორგანიზაციებში განწევრიანებისათვის აუცილებელი მოთხოვნების შესრულება და მათი ეგიდით მიმდინარე წარმატებული თანამშრომლობა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოების წინაპირობასაც წარმოადგენდა. ქართულ სამართალში ზოგიერთი თანამედროვე ევროპული სტანდარტის დამკვიდრებამ ქართული სამართლის სისტემა „უფრო ევროპული“ გახადა.

„საქართველოსა და ევროგაერთიანებებსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების (შემდგომში: შეთანხმება)<sup>1</sup> ძალაში შესვლამ და მუდმივი დიალოგის დაწყებამ ისეთი ინსტიტუტების მეშვეობით, როგორცაა თანამშრომლობის საბჭო და კომიტეტები<sup>2</sup>, შესაძლებელი გახადა გარდამავალ პერიოდში საქართველოს პრიორიტეტების დაზუსტება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მხარეები ეკონომიკური კავშირების განმტკიცების და შემდგომი თანამშრომლობის გაწყობის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას მიიჩნევენ.

ზემოთ აღნიშნულის პასუხად, 1997 წლის 2 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო № 828-ლს დადგენილება, რომლის თანახმად „1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს“. ამ დადგენილების შესრულება შეიძლება შეფასდეს, როგორც საქართველოს სამართლებრივი სისტემის ევროპულთან დაახლოებისაკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი. აღნიშნულის განსახორციელებლად აუცი-

\* GEPLAC-ის დირექტორის მოადგილე სამართლებრივ საკითხებში.

<sup>1</sup> „საქართველოსა და ევროგაერთიანებებსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს, პარლამენტის უწყებანის საკანონმდებლო რეგული, 18 სექტემბერი, 1996, 13-51.

<sup>2</sup> თანამშრომლობის ინსტიტუტების შექმნის ნესი და მათი ფუნქციები განსაზღვრულია შეთანხმების 81-ე და შემდგომ მუხლებში.

ლებელი იქნება კანონპროექტებისა და მოქმედი კანონმდებლობის დეტალური შედარებითი ანალიზი, მათი ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

კანონმდებლობის ჰარმონიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, ევროპულმა კავშირმა იკისრა ვალდებულება, საქართველოს გაუწიოს ტექნიკური დახმარება შეთანხმებით განსაზღვრულ სფეროებში. შესაბამისად, GEPLAC-ი, როგორც Tacis-ის პროგრამის ფარგლებში შექმნილი საკონსულტაციო ცენტრი საქართველოში სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა.

**2. საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის სამთავრობო კომისია**

2000 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს მთავრობამ გადადგა ქმედითი ნაბიჯები მიმართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის რთული და ხანგრძლივი პროცესის დაჩქარებისაკენ. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 24 ივლისის № 317 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის სამთავრობო კომისია (შემდგომში: სამთავრობო კომისია), საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით. სამთავრობო კომისიის ფუნქციებს განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა და შეთანხმებით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლი. მას დაევალა ევროპულ კავშირთან ინტეგრაციის პროცესის დაჩქარების შესახებ საქართველოს სტრატეგიის პროექტის შემუშავება, ხოლო შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს – წარმოედგინათ წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ერთიანი სტრატეგიის შემუშავების მიზნით.

GEPLAC-ი, რომელიც 1997 წლიდან კონსულტაციებს უწევს საქართველოს სამინისტროებსა და სხვა სამთავრობო უწყებებს, გახდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის წარმართველი ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანოს – სამთავრობო კომისიის – კონსულტანტი. შედეგად, GEPLAC-მა სამთავრობო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით 2000 წლის ბოლოსთვის მოამზადა „რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიისათვის“.

„საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 დეკემბრის № 1422 განკარგულებით, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალა, მოემზადებინათ შენიშვნები და წინადადებები GEPLAC-ის მიერ წარდგენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ხოლო სამთავრობო კომისიას – სტრატეგიის პროექტის შემუშავება. საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შედარებითი ანალიზისა და კანონმდებლობის დაახლოების ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის საფუძველზე, სტრატეგიაში განისაზღვრა შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრიორიტეტები და გამოიკვეთა სტრატეგიის განხორციელებისათვის ეროვნული პროგრამის შემუშავების აუცილებლობა.

შედეგად, „საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის № 613 განკარგულებით, დამტკიცდა სტრატეგია, ხოლო სამთავრობო კომისიას დაევალა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზაზე შემდგომი ნაბიჯის გადადგმა - საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის (შემდგომში: ეროვნული პროგრამა) შემუშავება.

**3. ეროვნული პროგრამის შემუშავების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი**

2001 წლის 19 ოქტომბერს სამთავრობო კომისიამ ეროვნული პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად შექმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ეკონომიკური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში ჩართული ყველა სამინისტროსა და უწყების წარმომადგენლები<sup>3</sup>. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ასევე მოწვეულ იქნენ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა, ეკონომიკური პოლიტიკის, იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტების წარმომადგენლები.

GEPLAC-ის ქართველი და ევროპელი ექსპერტები წარმოადგენენ სამუშაო ჯგუფის კონსულტანტებს ეროვნული პროგრამის შემუშავების პროცესში, რომელიც მნიშვნელოვნად ემყარება კანონმდებლობის შედარებით ანალიზსა და ჰარმონიზაციის პროცესის ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლას. 2001 წლის 10 დეკემბერს სამუშაო ჯგუფის პირველ სხდომაზე GEPLAC-მა განსახილველად წარადგინა ეროვნული პროგრამის შემუშავების გეგმა (ტექნიკური დავალება), რომელიც 2002 წლის 30 იანვარს დამტკიცებულ იქნა სამთავრობო კომისიის მიერ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება უნდა განხორციელდეს შეთანხმების 43-ე მუხლით განსაზღვრულ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სფეროებში,<sup>4</sup> სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა სექტორები, რომლებშიც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის დაგეგმვა. ამასთან, სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა სტრატეგიის შემუშავების დროს დაგროვილი გამოცდილება და სექტორების განსაზღვრისას გამოიყენა უკვე აპრობირებული მიდგომა.<sup>5</sup>

შედეგად, განისაზღვრა ეროვნული პროგრამის 13 დამოუკიდებელი სექტორი შემდეგი სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით: სოფლის მეურნეობა, საკორპორაციო, კონკურენცია, მომხმარებელთა დაცვა, საბაჟო, გარემოს დაცვა, ფინანსური მომსახურება (აერთიანებს საბანკოს, დაზღვევასა და ფასიან ქალაქებს), ინტელექტუალური საკუთრება, შრომა, სახელმწიფო შესყიდვები, საგადასახადო, ტრანსპორტი, ტექნიკური ნესები და სტანდარტები. თითოეულ სექტორში შეიქმნა სამუშაო ქვეჯგუფი, რომლის საქმიანობასაც ერთობლივად წარმართავენ განსახორციელებელ საქმიანობაზე ანგარიშვალდებული უწყების წარმომადგენელი და კოორდინატორისა და კონსულტანტის ფუნქციით აღჭურვილი GEPLAC-ის ექსპერტი. სამუშაო ქვეჯგუფების შეხვედრები ყოველთვიურად ტარდება ცენტრის ოფისში.

<sup>3</sup> სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საგარეო საქმეთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტრო; სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო; სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო; განათლების სამინისტრო; ეროვნული ბანკი; სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური; ფასიანი ქალაქების ეროვნული კომისია; დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური; სახელმწიფო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტები; საქსტანდარტი; საქპატენტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; ტელეკომუნიკაციების სახელმწიფო კომისია; ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისია.

<sup>4</sup> შეთანხმების 43-ე მუხლით განსაზღვრულ ჰარმონიზაციის პრიორიტეტულ სფეროებს განეკუთვნება: „კანონები და ნორმები, რომლებიც არეგულირებს კორპორაციების მიერ ინვესტიციების განხორციელებას, საკორპორაციო სამართალი, საბანკო სამართალი, კორპორაციების ანგარიშები და გადასახადები, ინტელექტუალური საკუთრება, დასაქმებულთა დაცვა სამუშაო ადგილზე, ფინანსური მომსახურება, კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები, სახელმწიფო შესყიდვები, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველთა და მცენარეთა დაცვა, გარემოსა და მომხმარებელთა დაცვა, არაპირდაპირი გადასახადები, ტექნიკური ნორმები და სტანდარტები, ატომური დარგის მარეგულირებელი კანონები და კანონქვემდებარე აქტები, და ტრანსპორტი“.

<sup>5</sup> ერთადერთი გამოწვევისა სფერო „დასაქმებულთა დაცვა სამუშაო ადგილზე“, რომელიც გაფართოვდა და ახლა მოიცავს მთელ შრომის კანონმდებლობას.

#### 4. ეროვნული პროგრამის ცალკეულ სექტორში მიმდინარე საქმიანობის მიმოხილვა

ქვემოთ წარმოდგენილია ეროვნული პროგრამის შემუშავების პროცესში ცალკეულ სექტორში განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების მიმოხილვა.

**სოფლის მეურნეობა:** საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით სამუშაო ქვეჯგუფმა ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესებას, ცხოველების რეგისტრაციასა და იდენტიფიკაციას, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული კონტროლის გაძლიერებას. კანონმდებლობის დახვეწის პროცესში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ეპიზოოტიის საერთაშორისო სამსახურის რეგლამენტები. უნდა შემუშავდეს სპეციალური წესები და პირობები მცირე სანარმოებისთვის, უპირველეს ყოვლისა სასაკლაოებისთვის. საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროს შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ხორცთან, რძესა და რძის პროდუქტებთან დაკავშირებით რიგი მიკრობიოლოგიური სტანდარტების შემუშავება.

**საკორპორაცია:** სამუშაო ქვეჯგუფმა უნდა განიხილოს ინფორმაციის გამჟღავნების, კორპორაციათა კაპიტალისადმი წაყენებული მოთხოვნების ადეკვატურობის, მოგების განაწილების, სადივიდენდო პოლიტიკის, კორპორაციათა შერწყმისა და გაყოფის თაობაზე ახალი წესების შემუშავების მიზანშეწონილობა და ვადები. საქართველოში უკვე გამოიყენება საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპები გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოების საკორპორაციო სამართლისთვის.

**კონკურენცია:** სამუშაო ქვეჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს კანონმდებლობაში არსებული ისეთი ხარვეზების აღმოფხვრაზე, რომლებიც უკავშირდება არასამართლიანი კონკურენციის რეგულირებას, გამონაკლისებს, მონოპოლისტური მდგომარეობის განსაზღვრას, შერწყმასა და სახელმწიფო დახმარებას (სუბსიდირებას). გარდა ამისა, უნდა იქნეს განხილული საქართველოს კანონმდებლობაში სახელმწიფო მონოპოლიების შესახებ სპეციალური დებულებების შემუშავების საკითხი. ეროვნული კავშირის დირექტივებს გარდა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვა საერთაშორისო სტანდარტებიც, მაგ. OECD-ის საკონკურენციო სამართლის რეკომენდაციები გარდამავალი სახელმწიფოებისათვის.

**მომხმარებელთა უფლებების დაცვა:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დებულებები სამომხმარებლო ხელშეკრულების, ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისა და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შესახებ ძირითადად შეესაბამება ევროპული კავშირის კანონმდებლობას. სამუშაო ქვეჯგუფმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი ისეთი დებულებების შემდგომ დახვეწაზე, როგორცაა, მაგალითად, დებულებები ფასების მითითების შესახებ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონში და სამომხმარებლო პროდუქციის რეკლამის წესები რეკლამის შესახებ კანონში. სამუშაო ქვეჯგუფმა უნდა განიხილოს, აგრეთვე, სამომხმარებლო კრედიტისა და ტურისტული მოგზაურობის შესახებ სპეციალური დებულებების შემუშავების საჭიროება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

**საბაჟო:** საქართველოს საბაჟო კოდექსის ევროპული გაერთიანების საბაჟო კოდექსთან დაახლოება ამ სექტორის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საბაჟო წესების მაქსიმალური გამჭვირვალობა და პროგნოზირებადობა, საბაჟო პროცედურის გამარტივება. სამუშაო ქვეჯგუფმა უპირველეს ყოვლისა უნდა განიხილოს საკითხები, რომლებიც უკავშირდება სავალდებულო ტარიფების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, სატრანზიტო პროცედურების გაუმჯობესებას საქონლის საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო გადაზიდვების დროს, ეკონომიკური ეფექტის მქონე საბაჟო პროცედურების მონესრიგებას,

გადასახადებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის იმპორტზე ნებართვების გაცემას, საბაჟო დავალიანებასა და მათ დასაფარად ფასიანი ქალაქდების წარმოდგენას, დამატებით მახასიათებლებს საბაჟო შეფასების და საქონლის წარმოშობის სფეროში.

**გარემოს დაცვა:** საქართველოს კანონმდებლობა გარემოს დაცვის შესახებ განვითარების სანაწიის სტადიაზე იმყოფება. სამუშაო ქვეჯგუფი განიხილავს ბირთვული უსაფრთხოებისა და რადიოაქტიური ნარჩენების, წყლის დაცვისა და მართვის, ატმოსფეროს დაბინძურების მონიტორინგის, ხმაურის ზემოქმედების აღკვეთის, ქიმიკატებისა და ბიოტექნოლოგიის, კოსმოსის მართვისა და ეფექტიანი გამოყენების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ველური ფლორისა და ფაუნის დაცვის, ნარჩენების მართვის და სუფთა ტექნოლოგიების შესახებ კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საკითხს.

**ფინანსური მომსახურება:** საქართველოს კანონმდებლობაში უკვე ასახულია ევროპული სამართლის ძირითადი პრინციპები: შექმნილია საზედამხედველო ორგანო, საქმიანობის დასაწყებად აუცილებელია ლიცენზიის მიღება, თითოეულ ქვედარგში შემუშავებულია გადახდისუნარიანობის სტანდარტები. თუმცა, ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან შემდგომი დაახლოების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საფინანსო ინსტიტუტების სანესადებო კაპიტალის ზრდას, ლიცენზირების პირობების სრულყოფას, გადახდისუნარიანობის სტანდარტების დახვეწას, საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნას, ასევე, საინვესტიციო ფონდების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შემუშავებას.

**ინტელექტუალური საკუთრება:** საქართველოს ვმო-ში განეწიანებისა და TRIPS-ის შეთანხმების დებულებების პირდაპირი ამოქმედებით საქართველოს კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თითქმის სრულად არის ჰარმონიზირებული. მიუხედავად ამისა, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დანართებში მითითებულ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შეერთება კვლავაც დღის წესრიგში რჩება და ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად გვევლინება ზემოთ ხსენებული შეთანხმებით ჰარმონიზაციისთვის დადგენილი ვადის მოახლოების გამო (2004 წლის 1 ივლისი). შემდგომი დაახლოების საჭიროება განხილული უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელების სფეროში. სამუშაო ქვეჯგუფი ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტად მიიჩნევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელების გაუმჯობესების შესაძლებლობათა შესწავლას.

**შრომის კანონმდებლობა:** მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში მიღებულ საქართველოს შრომის კანონმდებლობაში შეტანილ იქნა მრავალი ცვლილება, იგი მაინც არ ასახავს უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში მომხდარ სოციალურ ძვრებს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ახალი შრომის კოდექსის პროექტის შემუშავება შრომის კანონმდებლობის შემდგომი განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს და მასში სრულად აისახება შრომის სამართლის ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორცაა დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობაში, დაქირავებულის ინფორმირება ხელშეკრულების პირობების შესახებ, სამუშაო დრო და ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, მასობრივი დათხოვნის შეზღუდვა, დაქირავებულის დაცვა ორგანიზაციის მესამე პირისათვის გადაცემის ან დამქირავებლის გადახდისუნარიანობის შემთხვევაში. ამ სექტორში ჰარმონიზაციის პროცესი უნდა განხორციელდეს, ერთი მხრივ, დაქირავებულთა უფლებებისა და მეორე მხრივ, ქვეყანაში არსებული სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დამქირავებელთა რეალური ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით.

**სახელმწიფო შესყიდვები:** ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება ევროპული კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს. შესწავლილ უნდა იქნეს წყლის, ელექტროენერჯის, ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში

მომუშავე ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შესყიდვების მარეგულირებელი დებულებების დაახლოების პრიორიტეტულობის საკითხი. კანონმდებლობის შემდგომი დაახლოების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შესყიდვების პროცედურის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. ამასთან, კანონის შეუსრულებლობის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია ევროპის ქვეყნებში მოქმედი სათანადო სამართლებრივი მექანიზმების დამკვიდრება.

**საგადასახადო:** ევროპული კავშირის ფარგლებში დადგენილ ფისკალურ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, მიზანშეწონილია, პირველ ეტაპზე, დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ დებულებების ჰარმონიზაცია. მართალია, საქართველოს კანონმდებლობაში ასახულია დღგ-სთან დაკავშირებული ევროპული კანონმდებლობის ზოგიერთი ზოგადი პრინციპი, მაგრამ არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც შემდგომ დახვეწას საჭიროებს. კერძოდ, დებულებები დაბეგვრას დაქვემდებარებული ოპერაციების და მათი განხორციელების ადგილის შესახებ, დაბეგვრას დაქვემდებარებული თანხების შესახებ, გამოქვითვებისა და დღგ-საგან გათავისუფლების პირობების შესახებ საჭიროებს ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დღგ-ს დაბრუნების სისტემის შექმნა. შემდგომში, სამუშაო ქვეჯგუფმა უნდა შეისწავლოს აქციზის შესახებ დებულებების ჰარმონიზაციის საკითხი და განსაზღვროს ვადები, რომლის განმავლობაშიც მიზანშეწონილი იქნება ძირეული ცვლილებების განხორციელება.

**ტექნიკური ნებსები და სტანდარტები:** განახლებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც, ერთი მხრივ, აღიარებს ნებაყოფლობითი სტანდარტიზაციის პრინციპებს, ანუ დაინტერესებული მხარეების მიერ შემუშავებული სტანდარტების თანხმობაზე დამყარებულ გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, სამინისტროების მიერ საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებას, ჯერ კიდევ განვითარების საწყის სტადიაზეა. შემდგომი წინსვლა აუცილებელია იმის გათვალისწინებით, რომ 2003 წლის 14 ივნისს იწურება ვმო-ში განვირიანებისას განსაზღვრული გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სავალდებულო „გოსტ სტანდარტები“ (საბჭოთა პერიოდში მოქმედი სტანდარტები), ინარჩუნებენ ძალას. კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრიორიტეტს წარმოადგენს პროდუქციის უსაფრთხოებისა და უზარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანის შესახებ ე.წ. „ჰორიზონტალური“ ნორმატიული ბაზისა და „ახალი მიდგომის დირექტივებზე“ დაყრდნობით ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება. გარდა ამისა, პრიორიტეტულია „სექტორული მიდგომის დირექტივების“ მოთხოვნების ეტაპობრივი შემოღება. აკრედიტაციის სისტემის სრულყოფა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციის EN 45000 სერიის სტანდარტების მიხედვით. განსახორციელებელია, აგრეთვე, განსაზღვრული ინსტიტუციონალური ცვლილებები ევროპული სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სისტემის დასაწერად. პარალელურად, უნდა შეიქმნას ბაზრის ზედამხედველობის თანამედროვე სისტემა.

**ტრანსპორტი:** საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების თვალსაზრისით, ტრანსპორტის თითოეული სახეობისთვის შერჩეული უნდა იქნეს ინდივიდუალური მიდგომა. საქართველომ უკვე მიიღო მრავალი კანონი ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის შესახებ და შეუერთდა ამ სფეროში მოქმედ ორმოცზე მეტ საერთაშორისო ხელშეკრულებას. უნდა აღინიშნოს, რომ საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტის მარეგულირებელი ნებისმიერი შეესაბამება ევროპულ კანონმდებლობას, რაც ამ სფეროებში განხორციელებული რეფორმების შედეგია.

ეროვნული პროგრამა საშუალებას მისცემს საქართველოს მთავრობას დააზუსტოს დაახლოების პროცესის პრიორიტეტები და ეტაპობრივად გადადგას შესატყვისი ნაბიჯები სამართლებრივი ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად. ეროვნული პროგრამის პირველი პროექტი უნდა მომზადდეს 2003 წლის მარტის ბოლომდე და წარედგინოს ყველა დაინტერესებულ მხარეს შემდგომი განხილვისა და დახვეწისათვის.